პირადი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის ცნობის სახით მიღება

როგორ მოვძებნო პირადი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია?

- ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდზე https://eservices.rs.ge/Login.aspx ავტორიზებულ ფიზიკურ პირებს, პირადი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ გადაამოწმოთ მოდულში „ზოგადი ინფორმაცია“ შემდეგნაირად:

1



2



- მოდულის - „ზოგადი ინფორმაცია“ გააქტიურებით შეგიძლიათ დაათვალიეროთ მონაცემები მიღებული პირადი შემოსავლების შესახებ. ამისთვის საკმარისია, აირჩიოთ შესაბამისი თარიღი და გააქტიუროთ ღილაკი განახლება.

3



- გაითვალისწინეთ, რომ პირადი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია დეკლარირებულია საგადასახადო აგენტების მიერ, რომლებსაც ევალებათ გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება. შესაბამისად, ნებისმიერი უზუსტობა მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით, უნდა გაირკვეს საგადასახადო აგენტთან (დამქირავებელთან, შემოსავლების გადამხდელთან და ა.შ).
- შესაძლებელია, პირადი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია არ იყოს დეკლარირებული სახელმწიფო საიდუმლოებიდან გამომდინარე. კერძოდ, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში ასახული, საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემოსავლების მიმღებ პირთა იდენტიფიცირების გარეშე, თუ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N 507 დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხით“, გამომდინარე დათქმიდან ზემოაღნიშნულ პირებზე ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.

როგორ მივიღო ელექტრონულად ცნობის სახით ინფორმაცია პირადი შემოსავლების შესახებ?

- ცნობის სახით ინფორმაციის მისაღებად უნდა აირჩიოთ მოდული „განცხადებები“ >> შემდეგ „ახალი განცხადების რეგისტრაცია“

1



2



3



- საძიებო ველის დახმარებით შეგიძლიათ მოძებნოთ სასურველი განცხადება (მოცემულ შემთხვევაში "ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა"

4



- განცხადებაში მიუთითეთ საანგარიშო პერიოდი (ეთითება მხოლოდ თვე და წელი) და აირჩიეთ ინფორმაციის სახე არსებული ჩამონათვალიდან

5



სრული - ცნობა მოიცავს, როგორც თქვენ მიერ დეკლარირებულ, ასევე დამქირავებლისგან(საგადასახადო აგენტისაგან) მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას;
ყველა დამქირავებლისაგან (საგადასახადო აგენტისაგან) წარმოდგენილი ინფორმაცია - ცნობა მოიცავს ყველა დამქირავებლისაგან მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას;
კონკრეტული დამქირავებლის (საგადასახდო აგენტის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - ცნობა მოიცავს მხოლოდ 1 კონკრეტული დამქირავებლისგან მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას;
ჩემს მიერ დეკლარირებული ინფორმაცია - ცნობა მოიცავს მხოლოდ თქვენ მიერ დეკლარირებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას.

- „კონკრეტული დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის“ არჩევის შემთხვევაში გააქტიურდება ღილაკი „კონკრეტული დამქირავებლის ს/ნ“ , სადაც ჩაიშლება ყველა დამქირავებელი, საიდანაც შეგეძლებათ მხოლოდ ერთის არჩევა.

6



- აირჩიეთ ცნობის ფორმა ჯამური ან დეტალური (დეკლარირების პერიოდების მიხედვით)

7



გაითვალისწინეთ, რომ განცხადებას რეგისტრაციის შემდეგ ენიჭება “ID ნომერი” და “შტრიხკოდი”



- (განცხადებაზე “ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა“ პასუხის მომზადების ვადაა 1 სამუშაო დღე. ასევე გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2021 წლის 25 სექტემბრიდან განცხადების რეგისტრაცია ავტორიზებული მომხმარებლის პირადი გვერდიდან (https://eservices.rs.ge/Login.aspx) იქნება უფასო, ხოლო სერვისცენტრში ვიზიტით მომსახურების მიღების საფასური იქნება 60 ლარი). თქვენს მიერ რეგისტრირებული განცხადების სტატუსის გადამოწმება შეგიძლიათ განცხადებისთვის მინიჭებული „ID ნომრისა“ და „შტრიხკოდის“ დახმარებით, ამისთვის თქვენს პირად ავტორიზებულ გვერდზე ჩანართ „განცხადებებში“ აირჩიეთ ველი „განცხადების ძებნა“



- მიუთითეთ განცხადებისთვის „ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა“ მინიჭებული ID ნომერი და შტრიხკოდი და დააწექით ღილაკს „განცხადების ძებნა“



“

- მაგალითად: თქვენს მიერ რეგისტრირებულ განცხადებაზე სტატუსი „დადებითი“-ს მინიჭების შემთხვევაში განცხადებას ექნება შემდეგი სახე, სადაც „იხილეთ განცხადების პასუხში“ და „დამატებით პასუხში“ (არსებობის შემთხვევაში) განთავსებული იქნება თქვენ მიერ რეგისტრირებულ განცხადებაზე მომზადებული პასუხები.



- განცხადების სტატუსის ნახვა, ასევე შეგიძლიათ შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის გამოყენებით „ყველა სერვისი“-ს ჩანართიდან „განცხადების ძებნა“ ღილაკზე დაჭერით:



თუ, დაგავიწყდათ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდის https://eservices.rs.ge/Login.aspx მომხმარებელი/პაროლი, შეგიძლიათ ისარგებლოთ პაროლის აღდგენის სერვისით (იხ. დანართი https://eservices.rs.ge/Docs/PassRecover.pdf?v1). შემოსავლების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად გადამოწმებისა და განცხადების რეგისტრაციაზე წვდომის შესაძლებლობა აქვთ გადასახდის გადამხდელ ფიზიკურ პირებს. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდზე https://eservices.rs.ge/Login.aspx მომხმარებლად რეგისტრაციის პროცედურების სანახავად იხ. დანართი https://eservices.rs.ge/Docs/RegistrationHelp.pdf?v1